



საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 148 2020 წლის 9 ივლისი ქ. თბილისი

„პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების მიზნით საბჭოს წევრთა დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2019 წლის 10 ოქტომბრის №409 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებით დამტკიცებული წესისა და პირობების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-10 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების საფუძველზე, „პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების მიზნით საბჭოს წევრთა დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2019 წლის 10 ოქტომბრის №409 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების საბჭოს (შემდგომში – საბჭო) წევრებად დაინიშნონ:

მარიამ ქუჭულორია – ა(ა)იპ – ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე – საბჭოს თავმჯდომარე;

ნინო ტალიაშვილი – დამოუკიდებელი ექსპერტი – საბჭოს წევრი;

ქრისტინე მეფარიშვილი – სსიპ-ის – აწარმოე საქართველოში ინვესტიციების დეპარტამენტის უფროსი – საბჭოს წევრი;

გიორგი გამყრელიძე – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს უფროსი – საბჭოს წევრი;

ნატო მებურიშვილი – სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი – საბჭოს წევრი;

თორნიკე ჯობავა – სსიპ – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს „ციფრული უნარების განვითარების“ პროგრამის კოორდინატორი – საბჭოს წევრი;

გიორგი ვეკუა – სსკ – საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მომსახურებისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი – საბჭოს წევრი;

მარიკა ზაქარეიშვილი – საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე – საბჭოს წევრი;

თამაზ ბახტაძე – საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პროფესიული განათლების სამმართველოს უფროსი – საბჭოს წევრი;

ნიკოლოზ მესხიშვილი – პროფესიული განათლების ექსპერტი – საბჭოს წევრი;

ნათია კვიციანი – მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამების ადგილობრივი კოორდინატორი – საბჭოს წევრი;

თორნიკე თოხაძე – ა(ა)იპ – საქართველოს საინფორმაციო ტექნოლოგიების ასოციაციის პრეზიდენტი – საბჭოს წევრი.“.

გიორგი გახარია

